

სარგბიელი

ეროვნული
ზიზლიროთეკა

საორტული გაზეთი ბამოციმა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 4 აგვისტო 1995 № 46 (184) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

2 აგვისტო. საქართველოს ჩემპიონატის I ტური

ბათუმი	3	ზუგდიდი	2	ტორკელო	1	მეტალურგი	3	დილა	4
გურია	0	კახეთი	1	ივერია	0	შეხარდენი	2	მარბვეთი	2

"სარგბილის" სპეციალური კორესპონდენტების რეპორტაჟები ქუთაისიდან, გორიდან და რუსთავიდან

გურთაობას გაბვირაღდა!



ბარამ ბაღუს გაეპირათ...

დილა 4:2 მარბვეთი

დილა: სოლოლაშვილი, მალაშვილი, ლომიძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, ნკრილაშვილი, მარუბაშვილი (კაილაშვილი 72), ციციშვილი, მარლიშვილი, ზურაბ ზორგუაშვილი, რევაზიშვილი.
მარბვეთი: გვენცაძე, ბებიაშვილი, გურიელიძე, გენაძე, ლონდაძე, ლანჩავა (უკლება 46), ჯამრიჭიძე, სულაიაძე, დკაკუბაძე, კიკნაძე, ენდელაძე (ნებთა 46)
1:0 მარბვაშვილი (8), 2:0 გაგნიძე (24), 2:1 ენდელაძე (36), 3:1 ზურაბ ზორგუაშვილი (39), 4:1 მარბვაშვილი (44), 4:2 გურიელიძე (70).

სტადიონზე თამაშის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მისულიც კი მოსაწყენად ვერ მოიცილდა — ეროვნული ჩემპიონატის გახსნას გორელმა გვარიანი ზეიმი უძღვნეს... თამაშის დაწყება და მასპინძელთა შეტევას გადსვლა ერთი იყო. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავდამსხმელთა ლეუტი მარლიშვილი-ხორგუაშვილი, რომელთაც აქტიურად უბამდნენ მხარს მარბვაშვილი და რევაზიშვილი. ამ ოთხმა ფეხბურთელმა ისე დაანია სტუმრები, ენდელაძისა და კიკნაძის მისხმარებლად ნახევარმეცხედრებს ვერ იცლიდნენ. „დილა“ მოედნის შუაგულში მოპოვებული უპირატესობა დასაწყისშივე გამოიყენა: რევაზიშვილის გარღვევა მარცხენა ფრთიდან საჯაროობაში ბურთის ჩაყვანით დასრულდა, მარბვაშვილმა კი ბურთის კარის მარცხენა დაბალ კუთხეში მიუხინა ადგილი. „დილა“ შეტევებს უმატა, მარლიშვილმა კი პირდაპირ აიკლო სტუმართა დაცვის ხაზს: ჯერ მის მხარე ანლო მანძილიდან დაარტყმული ბურთი აკრობატულ ნახტომში აიღო გვენცაძემ, შემდეგ ამას მი-

უპატრონო «ტორკელოს» გამარჯვება

ტორკელო 1:0 ივერია

ტორკელო: ხელაძე, შვერილაძე, თურმანიძე, სადილიანი (შენგელია 77), კვეციანი, ნიქარაშვილი, ჩხეტიანი, ხუნდაძე, ნოზაძე, აშვეთია, ვაჩიბერაძე. ივერია: გვარამაძე, ნეკრასვილი, გვენცაძე, ჩიბაშვილი, ლაცაბიძე, ტყეშელაძე (გლუნაძე 70), იობაშვილი, გრიგოლიძე, მაქაძე-არია, ქობულაშვილი (ვეშაბიძე 80), ლომიძე.
გოლი: ვაჩიბერაძე (19)
გაფრთხილება: მაქაძე-არია (78)
გაძვირება: მაქაძე-არია (78)
მაჯი: მალხაზ კობიაშვილი
— რაო, თქვენ არ გადინართ ევროთასებზე? აბა ფორმის შექმნა რატომ გვთხოვეთ?! — უთქვამს ქუთაისის ერთ-ერთ ვიცე-მერს მერიის საფეხბურთო გუნდ „ტორკელოსთვის“. ვერ გეტყვით, მართალია ეს ამბავი თუ არა, მაგრამ სრულიად შესაძლებელია რომ ასე ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ოდესღაც საქართველოს მერიერ გუნდი დღეს მაღიან ჰგავს ისეთ გუნდს, რომლის პატრონა არც კი იცის, ჩამოღის თუ არა ერთ-ერთ კვირასში მის ქალაქში, მის გუნდთან სათანამშრომლო ევროპელი მეტოქე ან რა საჭიროა საერთოდ ფორმა. ასე რომ არ

სამ ტაიმს მაინც ორი სჯობს

მეტალურგი 3:2 შეხარდენი

მეტალურგი: კოროშინაძე (დოლიძე 58), ფოფხაძე, ყაველაშვილი, არჩვაძე, თეზაძე, ბუცურუიშვილი, ტარტარაშვილი, ჩალაძე, პეტრია, ზირაქიშვილი, კ. ალადაშვილი.
შეხარდენი: ბერაძე, ე. ალადაშვილი, მჭედლიშვილი, თამაზაშვილი, მორიუკაშვილი, ჯღაძე, კანკაია, მინდიაშვილი, გოდერძიშვილი, მახანაშვილი (ქოიავა 75), ამისულაშვილი (გოგოლაძე 46)
0:1 გოდერძიშვილი (7), 0:2 გოგოლაძე (57), 1:2 ალადაშვილი (75ა), 2:2 ფოფხაძე (80), 3:2 ჩალაძე (85)
გაფრთხილება: ჯღაძე, კ. ალადაშვილი, გოგოლაძე
მაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
„აუუ, ანლა დამიწყებენ...“ — სხვა ნაღდად არაფერი აფიქრებდა იმ წუთს სერგო კვარაცხელიას, ბოლოჯერ რომ ჩასტვინა, მატჩი დაამთავრა და ბედ შეგუებულ კაცის სახით გასახდელისკენ გამოემართა. მის ადგილზე ყოფას ნამდვილად არ ინატრებდით — ვერარის კარგი პერსპექტივა, როცა მოედნის კიდესთანვე გელოდებიან იმ გუნდის წარმომადგენ-

ლები, 2:0-ს რომ იგებდნენ, საბოლოოდ 2:3 წააგეს, თამაშში კი არაერთი იყო „რთულად ინტერპრეტირებადი“ ისეთი ეპიზოდი, შედეგზე რომ იქონიეს გავლენა. ერთი სიტყვით, არცთუ კონსტრუქციული დიალოგი მსაჯსა და დამარცხებულთა შორის მოედანზე დაიწყო, საჯაროდ დაწყებულ კი „მოუფარებულში“ ანუ მსაჯთა ოთახში და მის გარშემო, ცხადია, უფრო გაღრმავდებოდა და გაუარყოფებოდა კიდევ დავა-კამათში ხომ, გინდა, არ გინდა, დამზღვრებიც უნდა ჩარეულიყვენ. ვჭარბობ, გაუწყობ, რომ საბოლოოდ ყველაფერი ჩვენებური, კაცური ნორმების ფარგლებში ჩაეჭია — აჩვენებული მოდავეები თავ-თავთან ახრზე კი დარჩნენ, მაგრამ ბილოს ნერვები მოითოკეს, ერთმანეთის ღირსებას პატივი სცეს და გახეთქილი გამოსაყენებელ „არიჟა რა მომხდარა!“-მდე საქმე არ

მისულა. შედარებისთვის: წარმოიდგინეთ საშუალო სიმაფრის საპარლამენტო დისკუსია, თუნდაც იმიტომ, რომ გრძობათა განსაკუთრებით ემოციურად გამოხატვისას საერთო იყო პათოსი და აქტიური ლექსიკური ერთეულები: „საქართველო“, „საქმე“, „ასე სად წავალთ“, „ნამუსი“ და ა. შ.
ესოდენ ვნებიანი „მესამე ტაიმით“ დასრულებული ეს თამაში დაწყებამდეც ფრიად საყურადღებო გახლდათ: „მეტალურგს“ თამაშზე გამოუძღვ რეგულარული მითმეული, რომელიც ბევრს უკრაინაში, შეპეტოკასა თუ ხმელნიცში გვეგონა. რუსთაველი მიბრუნებულ მწვერთხულს თან ნახლები აკურნი მოთამაშეებიც გამოვიყლიან, ასე რომ, „მეტალურგზე“ ნამდვილად ითქვოდა, სეზონს მოლოწინელები ხვდებოდა. „შეხარდენის“ სახე-

უცხოური სპორტის სარბიელი

ბაზემი „სარბიელის“ ყოველთვიური დამატება-დაიჯუსტი № 2 აგვისტო, 1995 შპსი 1500 მან ან შარდი კუპ



9 აგვისტოდან
ბაიყიღუბა **ეროვნული**
«სარბიელის» **ლიონი**

**ყოველთვიური
დამატება-დაიჯუსტის
მეორე გამოცემა,
სადაც სპორტის
მოყვარულთ
ინგლისური, ესპანური,
ფრანგული, გერმანული
ამერიკული და თვით
სამხრეთაფრიკული
შურნალ-
ბაზემებიდან
ნათარგმანები
წერილები
მოვუყვართ**



**მიქაელ
ლაუდრუპი
ხუთგზის
ჩემპიონი**



**ჰორჯ
ბუსტი
საუკეთესო
მამაკაცია!**

**ნუ დატოვებთ
წაუკითხავს, ყოველი
მოძღვრო ნომერი
წინამორბედზე
საიტურესო იქნება!**

სარბიელი

ტოტალიზატორი "CROCO"

ამ კვირაში

ფსონები მიიღება საფრანგეთისა და რუსეთის ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩებზე.

ფსონებს გაეცნობით სასტუმრო „აჭარაში“

ფულის დადება შეგიძლიათ სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 14-დან 17 საათამდე სასტუმრო „აჭარის“ ფოიეში.

წიგნების

დოქტორმა სპლია კანდიდატს

მოყვარულ წიგნბურთელებს ჩვენშიც თითქმის მთელი წლის მანძილზე არა აქვთ „შეხვედრა“. ამ გაგანა სიტყვებშიც ყოველ უცხოურ დღეს ვარჯიშობენ და ტურნირებსაც ხშირად აწყობენ.

ორი კვირის წინ ვეტერანმა მოყვარულებმა კლუბ „მუხის ფოთის“ პრისები გაითამაშეს, ივლისის ბოლოს კი ეიული შარტავას ტრადიციულ მემორიალში ჩაებნენ. კლუბ „გეიმინ-90“-ის კორტებზე 50 მოასპარეზე შეიკრიბა. შეჯიბრება ორ ასაკად მოეწყო – ცალკე 40-55 წლისანი თამაშობდნენ, ცალკე უფრო ასაკოვანი. ეიული შარტავაც თავადაც სწორედ ამ კლუბის წევრი ყოფილა. „უმცროსთა“ ფინალში 46 წლის ტყუბები, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი თოფურაძე და ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი ნიკოლოზი შეიბნენ. ძნელი სათქმელია, როგორ დამ-

თავრდებოდა მძების უშეღავათო ორთაბრძოლა, წიგნებით უმცროსის ტრავმა რომ არა: თანაბარი ანგარიშისას (7:5, 1:6) ნიკოლოზმა ფეხის ტკივილის გამო კვლავ შეძლო თამაშის გაგრძელება, მესამე ადგილზე შურაბ ჯაფარიძე გავიდა.

ხნოვანთა შორის ყველას აჯობა 56 წლის ალექსანდრე ლოლაძემ, რომელმაც დაძაბული ფინალური შეხვედრა მოუგო ვაჟა ღარიბაშვილს – 7:5, 6:4. მესამე იყო ოლეგ ქიჩაიძე.

წყვილებში გაიმარჯვეს ღარიბაშვილმა და ირაკლი თოფურაძემ.

გამარჯვებულებსა და პრიზიორებს მრავალი ორიგინალური სამახსოვრო საჩუქარი გადაეცათ.

ბია ახაჯაძე

სახელმწიფო სანარმო „იხელი“

წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, სამეცნიერო შრომების, ლექსიკონების დაკაბადონება;

პოლიგრაფიული დიზაინი

მარჯანიშვილის 5, მეოთხე სართული, ოთახი 409 ტელეფონი 96-91-73

